# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— შაბათი, 2 სექტემბერი 1900 წ. № 1227

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



საუკეთესოდ მოწყობილი

**სტამბა**

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

ილებს ყოველგვარ

**სასტამბო საქმეებს**

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

წარსული წლების ჟურნალი

**„მოამბე“**

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად, 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად, ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

**მანწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლაში**

დაიწყო ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25 აგვისტოდან. სკოლაში ორი განყოფილებაა—ქართული და სომხური—იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმით, და სამი განყოფილებაც—რუსული. სკოლა იმყოფება ლერმონტოვის და გუდოვიჩის ქუჩების კუთხეში. სახლი საგარდა პოსერბსკისა, № 12. (5—2)


## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**31 აგვისტო**

**პეტერბურგი.** მათი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებითურთ 30 აგვისტოს მივიდნენ სპალაში.

**მოსკოვი.** მკურნალი ლეიბა შატუნოვსკი, რომელსაც ჰბრალდებოდა, რომ ვითომც ის უცრიდა მცირე-წლოვან ყმაწვილებს გადამდებ სენს და რომელიც იმყოფებოდა გამოსაცდელად ფერის-ცვალების სულით-ავადმყოფთა სამკურნალოში, გაიქცა.

**შანჰაი.** უტყუარი ცნობები მოვიდა, რომ ქვრივი დედოფალი, იმპერატორი და პრინცი ტუანი მოკლე ხნით იმყოფებიან ტატუნფუში, შანსის პროვინციაში. ისინი აპირებენ ტაიუნფუში გამგზავრებას და იქ დარჩენას.

**ლორენცო-მარკეზი.** ტრანსვაალის მთავრობის ოფიციალურის განცხადებით, კრიუგერი 15 სექტემბერს მიდის ექვსის თვის ვადით ევროპაში, რომ სთხოვოს სახელმწიფოებს ტრანსვაალის საქმეში გარევა. მის მოადგილედ აირჩიეს შალკ-ბურგერი.

**შანჰაი.** ლიხუნ-ჩანგმა მიიღო იმპერატორის ბრძანება, რომლითაც ფინი და იუნლუ ინიშნებიან კომისარებად ლიხუნ-ჩანგთან ერთად სამშვიდობო მოლაპარაკების საქმეში. ცინი იმყოფება ამ ჟამად თავის საკუთარ სახლში, რომელიც მდებარეობს იაპონელთაგან დაჭერილ ქალაქის ნაწილში. იუნლუ, როგორც ამბობენ, იმყოფება თავისი ჯარებით პინდანის ახლო, შანსიში, ტაიუენფუს აღმოსავლეთით, სადაც იცავს გზას იმპერატორის სახლის უკუ-ქცევისას. ლიხუნჩანგმა ურჩია იუნლუს, პირდაპირ გამოაცხადე, რომ შენი ჯარები არ გემორჩილებოდნენ და თავს ესხმოდნენ უცხოელებსო; თუ ამას გამოაცხადებ, მაშინ მე ვეცდები გავიგო—ხომ არ დასთანხმდებიან მოკავშირენი მიიღონ სამშვიდობო კომისარად. ჯანჯიდუნი იუწყება, რომ იუნლუ მზადაა პაოტინფუში წასასვლელად, მაგრამ წინააღმდეგია სამშვიდობო კომისრად დანიშვნისა.

**პეკინი.** უცხოელ წარმომადგენლებთან კერძო ბაასის დროს პრინცმა ცინმა სთქვა, რომ თუმცა მას აქვს მონდობილი მოლაპარაკება გამართოს, მას ულიხუნჩანგოდ არაფერი შეუძლიან. მას დეპეშა გაუგზავნია ლიხუნგჩანგისათვის და უთხოვნია უთუოდ მოსულიყო პეკინში.

**იოკაჰამა.** კორეიაში მყოფი იაპონელი აფიცერი იტყობინება, რომ ორი იაპონელი და რამდენიმე ასი ჩინელი, რომელთაც ქრისტიანობა მიუღიათ, მოკლულ იქმნენ კორეიას საზღვარზე.

**ნოიტგედახტი.** პოლკერიუ მოვიდა აქ. ფრენჩი იძულებული იყო მძიმე ბრძოლა დაეწყო. მის საშველად წავიდა გეტპო.

**პრეტორია.** რობერტსი დღეს ისევ წავიდა ტრანსვაალის აღმოსავლეთ ნაწილში.

**შანჰაი.** იუანშიკაის გუბერნატორმა შეატყობინა გერმანიის ელჩს მუმს, რომ, თანახმად მის თხოვნისა, მან მიიღო ღონისძიება პუსლში მყოფ მისიის დასაცველად და დასაჯა მეამბოხენი.

**ბელგრადი.** მაიორი საიკოვიჩი დაინიშნა სამხედრო აგენტად პეტერბურგში.

**პეტერბურგი.** დაიწვა გოტას თოკის ქარხანა; ზარალი მილიონზე მეტია; დაზღვეული იყო პირველ საზოგადოებაში და სალამანდრაში.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

« ლონდონიდან იტყობინებიან, ვითომ ლიხუნჩანგს უნდა გაეგზავნოს ლონდონში მყოფ ჩინეთის ელჩის ლოფენგლუსათვის დეპეშა, საცა ნათქვამია, რომ ლოფენგლუ არ [illegible] თუ იგი არ დაითანხმებს ინგლისის მთავრობას გაიყვანოს ინგლისელი ჯარები პეკინიდან, როგორც ეს მოახერხა პეტერბურგში მყოფმა ელჩმა რუსეთის მთავრობასთან.

« ორ გერმანელ სამხედრო ავტორიტეტის აზრი რუსეთის მთავრობის წინადადების შესახებ. ერთი მათგანი ამტკიცებს, რომ თუ რუსეთის ჯარებოდაც პეკინში საკმაო ძალა დარჩება ჩინელებზე საშიშრო გავლენის შერჩენისათვის. თუ რუსეთი პეკინიდან გაყვანილ ჯარებს ტიანძინში დააბანაკებს, დანარჩენ სახელმწიფოებს შეეძლებათ გადაიყვანონ პეკინში ის ჯარებიც, რომელნიც მათ ეხლა ტიანცზინში ჰყავთ ზურგის გასამაგრებლად. გარდა ამისა სექტემბრისათვის მოვლენ ჩინეთში ახალი ჯარები გერმანიიდან და საფრანგეთიდან. თუნდაც სრულებით რომ წაიყვანოს რუსეთმა თავის ჯარები, ტაკუსა და პეკინს შუა იქნება 71 ათასი შეერთებული ჯარისა 186 ზარბაზნით. გენერალს ეგრე გაუთავებია თავის საუბარი: «რუსეთის ჯარების გაყვანას პეკინიდან შეუძლია დაამციროს უცხოელების პრესტიჟი ჩინელების თვალში, რასაც, რასაკვირველია, შემდეგის დაკარგვაც შეიძლება მოჰყვეს.»

მეორე სამხედრო ავტორიტეტი უფრო სხვანაირად უყურებს საქმეს. მისის აზრით, იმ ალიანსთის, რო-

მელიც რუსეთის მთავრობის წინადადების გამო ასტეხეს, მიზნად აქვს დაჭყვაროს შეერთებულ ჯარების ცუდი სამხედრო მდგომარეობა, რომელიც შედეგია იმ გარემოებისა, რომ ლაშქრობა დაიწყეს შედარებით პატარა ჯარებით. ხსენებულ გენერალს არ ესმის იმათი ოპტიმისმი, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ «პეკინში შეკრებილი ჯარები საკმარისნი არიან არა თუ სატახტო ქალაქის ხელში შესარჩენად, არამედ უფრო დიდ-გავლენისთვისაც, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ჩინეთის მთავრობა, სადაც უნდა წავიდეს იგი.» ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ახლოვდება ზამთარი და ახალი ჯარები მხოლოდ ოქტომბრის შუა რიცხვებში მოვლენ, მდ. პეიხო კი ნოემბრის პირველ ნახევარში გაყინულია კიდეც. რამე მიზეზი ჰქონდათ უთუოდ 1860 წლის მოკავშირეებს, როცა მათ პეკინს თავი დაანებეს ზამთრის დაწყებამდე. პეკინში ჯარების დაგვიანებას მოჰყვებოდა მიმოსვლის დიდი სიძნელე, რადგანაც ეს მიმოსვლა ზამთარში შესაძლებელია მხოლოდ ხმელეთით. «როგორი იქმნება ესლა შეერთებულ ჯარების მდგომარეობა, როცა მდინარით მიმოსვლა შესწყდება? რკინის გზა, როგორც ვიცით, ისე არის დანგრეული, რომ იგი ხელ-ახლა გასაკეთებელია, რასაც უკანასკნელი 18 მილიონი მარკა და ბევრი დრო დასჭირდება. დარჩა ხმელეთის გზები, რომელნიც ჩინეთში, როგორც ცნობილია, მიმოსვლას უფრო აძნელებენ, ვიდრე აადვილებენ. მაუმატეთ ამ საშინელ სიძნელეს ჩრდილოეთ ჩინეთის ციმბირისებური სიცივეები და ადვილად წარმოიდგენთ უცხოელ ჯარების მდგომარეობას პეკინში ზამთარში. ამასთანავე შესაძლებელია კატასტროფაც, რომელიც მოჰყვება შიმშილობას, თუ ჩინელმა ჯარებმა გზები დაიკავეს; ამას კი ჩინეთის საერთო აჯანყება მოჰყვება. ცხადია, რომ რუსეთის განზრახვაა თავიდან აიშოროს ასეთი მომავალი, რაც მისთვის ადვილია, რადგანაც მან გაახთავისუფლა თავისიანები და სხვებსავით არ შეუბორკია თავისთვის ხელ-ფეხი მაღალფარდოვან სიტყვებით».

✦ ვენაში მყოფ იაპონელ სამხედრო ატაშეს ფუჯის აზრი ჩინეთის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ: «მე დაახლოვებითაც არ შემიძლია წარმოვიდგინო, რა გვარი მოღვაწეობა მოელის ჩინეთში გრაფ ვალდერზეს. იგი მივა ჩინეთში სექტემბრის ნახევარში, და მანამდე კი ჩინეთის საქმეების მდგომარეობა შეიძლება სრულებით შეიცვალოს. არა მგონია, რომ შეერთებულ ჯარებს ჩინელებთან ბრძოლა კიდევ მოუხდეთ. საუკეთესო ჩინელი ჯარები იყვნენ ჩრდილოეთისაკენ, პეჩილიში, სადაც წინეთ ლიხუნჩანგს ევროპიელი ინსტრუქტორები ჰყავდა მიწვეული; და თუ ეს ევროპიულად გაწვრთნილი ჯარები სრულებით დამარცხდნენ და დაიფანტნენ, რა შეუძლია დანარჩენ გაუწვრთნელ ჯარებს? ის ჯარებიც კი, რომლებთანაც რუსებს აქვთ საქმე მანჯურიაში, არაფრად ღირან. იაპონელ ჯარების რიცხვი 10 ათასს არ აღემატება; თითქმის მთელი ეს ჯარი პეკინშია; მხოლოდ რამდენიმე ზღვაოსანია ამოიში, სადაც მოსალოდნელია აჯანყება მოხდეს, რადგან სამხრეთ ჩინელებს კიდევ უფრო მეტად სძულთ უცხოელები, ვიდრე დანარჩენებს». ინგლისელ და გერმანელ კორესპონდენტების სიტყვით კი ამოიში 10 ათასზე მეტი იაპონელია.

# ახალი ამბავი

✦ კავკასიის მთავარ-მართებელს თავადს გოლიცინს მოელიან ტფილისში 12 სექტემბრისათვის.

✦ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე ბათუმში წავიდა.

✦ სათანადო მთავრობის გარდაწყვეტილებით, რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლება შავი-ზღვის ნაპირებზედ (ჩერნომორიის გუბერნიაში) აკრძალულია, რადგანაც იქ ეხლა ერთობ მცირეა თავისუფალი სახაზინო ადგილები. რაც ეხლა თავისუფალი ადგილია, დაურიგდება იმ რუს გლეხებს, რომელნიც უკვე გადმოსახლეულან კავკასიაში.

✦ რუსეთის რკინის გზების უფროსთა კრება შუამდგომლობს გზათა სამინისტროს წინაშე, რათა დაარსებულ იქმნას რკინის გზებზე პროფესსიონალური სკოლები.

✦ უმაღლეს ტეხნიკურ განათლების კომისიამ უკვე შეიმუშავა ზოგი პროგრამები. იურიდიულ მეცნიერებათა ჯგუფში შეიტანეს სამართლის ენციკლოპედია, რუსეთისა და უცხოელ სახელმწიფოების სახელმწიფო სამართალი, სამოქალაქო სამართალი საკონკურსო პროცესსის დაწვრილებითი შესწავლით, სავექსილო, სავაჭრო და საერთაშორისო სამართალი; კომერციულ განყოფილებაში შეიტანეს ისტორიაც, მაგრამ ამ საგნის სწავლების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიურ მოვლენებს. ორი ახალი ენის შესწავლა სავალდებულოა; ახალ ენების ლექციების რიცხვი ოთხივე კურსზე 24-ია. მათემატიკის პროგრამა შედარებით ძალიან მცირეა; ამ საგნის სწავლების დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს „ვარაუდობის“ თეორიას.

✦ როგორც შევიტყვეთ, ეს მეხუთე დღეა თურმე, რაც მხცოვანი საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი ავად გამხდარა ფილტვების ანთებით სოფელ რუისში.

✦ კვირას, 3 სექტემბერს, დაიწყება სწავლა ტფილისის ვაჟთა პირველ საკვირაო სკოლაში, რომელიც მოთავსებულია ახალ არსენალის ქუჩაზედ, ნიკოლაევის სკოლის სადგურში.

✦ აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზედ, სხვათა შორის, წაიკითხავენ წელს შემდეგ ახალ კურსებს: პროფესსორი მარრი—„სირიის ხანის სომხური ლიტერატურა და მისი ბოლონდელი რედაქცია“, იგივე პროფესსორი—„ქართულ და სომხურ ენების ნასესხი სიტყვები“; პროფესსორი ბარტოლდი—„საშუალო აზიის ისტორიული გეოგრაფია“, იგივე პროფესსორი—„აღმოსავლეთის ნუმიზმატიკა“.

✦ ტფილისში იმყოფება ეხლა გერმანელი მეცნიერი არმენისტი ფინკი, რომელსაც განზრახვა აქვს წავიდეს ეჩმიაძინში სომხურ ხელნაწერების გასაცნობად და შესასწავლად.

✦ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის პირველ და მეორე მოსამზადებელ განყოფილებაში მიღებულია წელს 78 მოსწავლე, 54 პირველ განყოფილებაში და 24 მეორეში.

✦ დიდუბის ირაკლის სახელობაზე აგებულ სკოლის მასწავლებლად დაინიშნა ქ-ბ. ნასიძე, კუკიის სკოლაში—ე. ზ. ნიკოლაძე, ამაღლებისაში—ხსიადოვის ქალი და ხარფუხისაში—ჩიქოვანი.

✦ საერო განათლების სამინისტროს ახსნით, იმ პირებს, რომელთაც სახალხო სკოლების მასწავლებლობის უფლება შეუძენიათ ეგრედ-წოდებულ შემოკლებულის გამოცდით, უფლება აქვთ მიიღონ კლასსის დამრიგებლის თანამდებობა.

✦ ტფილისის გუბერნიის ადმინისტრაციის მიერ აღძრული კითხვა სოფ. გურჯაანში ციციანთხევზედ ხიდის გადების შესახებ სათანადო მთავრობას უკანვე დაუბრუნებია ტეხნიკურ ხარჯ-აღრიცხვის ხელ-ახლად შესადგენად.

✦ „ივერიას“ სწერენ ახალსენაკიდან: „სწორედ სასაცილო და საარაკო ამბები ხდება ამ ჩვენს კურთხეულს დაბაში. გახშირდა ქურდობა, გახშირდა სახლების ტეხვა, ისე რომ აქაურს ადმინისტრაციასაც აღარ ინდობენ და იმათაც იმ დღეს აყენებენ, რასაც სხვებს. ამ ერთის კვირის განმავლობაში შემდეგი ქურდობა მოხდა: 1) ყარამან ჩაჩიბაიას ფანჯრიდან შეეპარნენ და რამდენიმე მანეთი მოსტაცეს; 2) მღვდლის რ. კაა—ლისას, რადგანაც კარებიდან ვერ შესულიყვნენ, გაეტეხნათ ფანჯრები, შესულიყვნენ და 28 მანეთი სტუმრისთვის მოეპარათ; 3) ადგილობრივ ბოქაულს ტ. ა—ნს მიუვარდნენ და ის იყო ფულების ჩხრეკას შესდგომოდნენ, რომ ხმაურობაზე მოსამსახურე გოგოს გაჰღვიძებოდა. მაშინვე თურმე ყველა ფეხზე წამოდგა, და ქურდები გაიპარნენ. თან მხოლოდ ერთი საათი წაეღოთ, მაგრამ ფანჯრიდან გადახტომის დროს იქვე დაჰვარდნოდათ; 4) ვაჭარს დავით ქოქოსაძეს, საღამოს ათ საათზე, დახლიდან ფულიანი ყუთი მოსტაცეს, რომელშიაც 20 მანეთზე მეტი ყოფილა; 5) აქაურ ერთ მოხელის მოსამსახურესაც დაუპატიჟებელმა სტუმრებმა გაუკეთეს „ვიზიტი“, მოსტაცეს ერთი კარგი ვერცხლის ქამარი; 6) აქაურს სასტუმროს პატრონს თეიმურაზ ლაბახუას მოჰპარეს თითქმის ათთუმნამდე ფული; და 7) ილია მეთუთუნე ბერძენს—320 მან. ნაღდი ფული და დახლის ყუთიც. ნეტავ ვიცოდეთ, აქაური სოფლის ყარაულები რასა ფიქრობენ? ნუ თუ ქუჩაში სეირნობისათვის და ან ძილისათვის აძლევს მათ ჯამაგირს საწყალი დაბა?..

✦ სიღნაღიდან სწერენ ადგილობრივ გაზეთებს, რომ ადგილობრივ ხარჯის ამკრებს მამაჯანოვს დაუხარჯავს 330 მანეთი სახაზინო ფული.

✦ პირველ სექტემბრიდან ტფილისის ოლქის სასამართლოსა და სამოსამართლო პალატის ყველა დეპარტამენტებში სამსახური დაიწყება დილის $9^1/_2$ საათზე და გათავდება სამზე.

✦ რათა რკინის გზის მატარებლების დაგვიანება მოისპოს, ან რაც შეიძლება შემცირდეს, რუსეთის რკინს გზების უფროსთა კრებამ შუამდგომლობა აღძრა გზათა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქმნას საჩუქრები მემანქანებისა და სადგურების უფროსებისათვის.

✦ გზათა სამინისტროში მზადდება მასალა რკინის გზებისათვის ადგილების ჩამორთმევის შესახებ.

არსებულ კანონების გადასინჯვად ახლო მომავალში.

✦ დადგენილია, შემოიღონ რკინის გზის დარაჯებისათვის განსაკუთრებული ფორმის ტანისამოსი.

# საღამოს დეპეშები

1 სექტემბერი

**ბერლინი.** იაპონელი წყაროები ტოკიოდან იტყობინებიან, რომ მშვიდობიანობა პეკინში აღდგენილა; გაქცეული მცხოვრებნი ბრუნდებიან; უცხოელთ იწყეს ქალაქიდან გასვლა და თავიანთ სამშობლოში დაბრუნება. ზოგნი იაპონიაში მიდიან დიდი ხნის ალყის შემორტყმის დროს დასუსტებულ ჯანმრთელობის აღსადგენად.

**ვაშინგტონი.** აქა ჰგონიათ, რომ სახელმწიფოები შესთანხმდებიან ჩინეთის საქმეებში, რადგანაც სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის დანიშნული რწმუნებულების შემწეობით შეიძლება, საერთო წესით, დაინიშნოს საზღაური ცნობილ დანაშაულობათათვის, რაიცა კარგი ბიჯის გადადგმა იქნებოდა საბოლოოდ საქმის გადაწყვეტისაკენ. თუ კი ეს ცდაც სახელმწიფოთა ერთობის უზრუნველყოფისა გამოდგება ისევე უნაყოფო, როგორც ცდა პეკინიდან ჯარების გაყვანისა, მაშინ შეერთებული შტატები თავის ინტერესების დასაცველად დაჰნიშნავენ რწმუნებულებს, რომელნიც დაიჭერენ საქმეს პირდაპირ ჩინეთის რწმუნებულებთან. ჩაფუე ელის ინსტრუქციებს, რომ წაიყვანოს ჯარი ზღვის პირისაკენ.

**პეკინი.** იაპონელებმა დაიჭირეს კეტტელერის მკვლელი სწორედ იმ დროს, როცა ის აპირებდა მიეყიდნა კეტტელერისეული საათი იაპონელ ოფიცრისათვის; მკვლელმა აღიარა დანაშაული და განაცხადა, რომ იგი ემორჩილებოდა ჩინეთის მთავრობის ბრძანებას. დატუსაღებული გადასცეს გერმანელებს.

**ლონდონი.** ლორინცო-მარკეზის გუბერნატორმა მიიღო ინსტრუქცია კრიუგერის შესახებ, რომელიც იმყოფება პორტუგალიის მთავრობის მფარველობის ქვეშ.

დრ. რედ. **ალ. ჯაბადარი**

# სამოსადეო ცნობანი

**ნიხრი**

| | | |
|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. 8½ კ. |
| სუკი | » | — 15 კ. |
| » ცხვრისა | » | — 8½ კ. |
| » ღორისა | 1 | — 8 კ. |
| » გოჭისა » | » | — 5 კ. |
| » ღორის ზარგალი სალორთი | 1 | » —10 კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იისფერი ბეჭედი ადევს, გოჭებს—მწვანე, ღორს—დაბლა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შური ფქვილისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 კ. |
| » » | II | » | » | 3½ » |
| » » | III | » | » | 3 » |
| იგივე თონისა | I | » | » | 5 » |
| » » | II | » | » | 4 » |
| » » | III | » | » | 3½ » |
| ლავაში ჯ. მმ. | I | » | » | 6 » |
| » » | II | » | » | 4 » |

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0 | —9 მ. — კ. | № 4 | —6 მ 75 კ |
| № 1 | —8 » 25 » | № 5 | —6 » 50 » |
| № 2 | —7 » 75 » | № 6 | —6 » — » |
| № 3 | —7 » 25 » | № 7 | —5 » 75 » |

სიმინდი (ნოვოროსისკში) 1 ფ. 54—41 კ. ქერი როსტოვში 50 კ. 57 კ.-მდე, ნოვოროსისკში 59 კ. 60 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 6 მ. 80 კ. „ ფშხვნილი „ 5 „ 30 „ მატყლი ისპანური, თეთრი ფ. გასუფ. 5 მ. 80 კ. 7 მ. 90 კ., მატყლი 10% მაკ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 75 კ.—4 მ. — კ., კარკეხილი— მ. — კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო—მ. — კ.-მდე.

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მეიდნებზე: | | კოკზოლზე: | |
|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | ფუთი. | მ. კ. | მ. კ. |
| | 1 | 1 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. | 1 | 1 15 | კაპ. |
| ქერი | 1 | —მ.—70 | კ. |
| სიმინდი | 1 | — —65— | |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | — 1—20— | |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 10— | |
| კომბოსტო. | 1 | — 30—— | |
| კარტოფილი. | 1 | — 65—— | |
| ხახვი | 1 | — 10—— | |
| თივა | 1 | — 25—— | |
| ბზე. | 1 | — 23—— | |

შუშა რეცხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შუშა ნადგვი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 80 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 5მ. გამკვიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა ა ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მუშაშელი 40 მ., კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.,

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჩუღურეთისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, გორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენჰაუზენისა და კუზნოვის სახლში. ექიმი გ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამხოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუდანზე.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანისა.

2) დიდუბეში სახლი გოლოვოშესი.

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. სად., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი №** 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი №** 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის ღამის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მდგომარე 1900 წლის 9 ენკენისთვეს, შუადღის 1 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით ქალაქისთვის 12,000 ფუთი ნავთის მოტანა ქალაქის ქუჩების გასანათებლად.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—2)

ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის და გოლოვინის ქუჩის კუთხეში, იყიდება შემდეგი ქართული წიგნები:

ისტორია, გეოგრაფია და მოგზაურობა

ალიხანაშვილი ილ. ბუნება და ცხოვრება. 60 კ.

ალიმიშვილი ვლ. სპარსეთი და იქაური ქართველები. 1 მ.

ბაქრაძე დ. ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველის ტომის დასაწყისზე. 15 კ.

გოგებაშვილი ი. ასმანმის ომი 10 კ. — თავდადებულნი ქართველნი, სურათებით. 10 კ.

ვახუშტი ბატონიშვილი. გეოგრაფია I წ. სამცხე 25 კ.

— იგ. II წ. ქართლი 25 კ.

ვილოვოზოვი ე. ინგლისელები. 40 კ.

— იტალიელები. 30 კ.

— გერმანელები. 30 კ.

თაყაიშვილი ე. სამი ისტორიული ქრონიკა. 1 მ.

იოსელიანი პ. ცხოვრება მეფე გიორგი XIII და საქართველოს რუსეთთან შეერთება. 1 მ.

კუდრიავცევი დ. როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად. 25 კ.

ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. 3 მ.

— იგივე წიგნი II. 3 მ.

ურბნელი ნ. მეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალისა. 25 კ.

— გიორგი ბრწყინვალე. 20 კ.

ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი. 40 კ.

— იგ. წიგნი მეორე. 1 მ.

— იგ. „ მესამე. 40 კ.

ჭიჭინაძე ზ. მეფე ერეკლეს და აღამამადხანის ომი. 10 კ.

— მეფე ირაკლის გმირები. 15 კ.

ხახანაშვილი ალ. ბატონ-ყმობა საქართველოში. 50 კ.

— გუჯრები. 50 კ.

—

ბენაშვილი ან. მოკლე ქართული გრამატიკა, უდით. 25 კ.

ყიფიანი დ. ახალი ქართული გრამატიკა. 1 მ. 20 კ.

—

ორბელიანი საბა-სულხან. ქართული ლექსიკონი. 3 მან.

სახოკია თ. რუსულ-ქართული ლექსიკონი. 20 კ.

—

ყიფიანი ვ. ალგებრა. 1 მ. 20 კ.

ჯაჯანაშვილი რ. კრებული არითმეტიკულის ამოცანებისა 25 კ.

სამეცნიერო წიგნები.

ბ. ს. შრომა და კაპიტალი. 20 კ.

გოლოვინი ს. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე, 10 კ.

გოგებაშვილი ი. მოსავლის მცველნი, სურათებით. 20 კ.

დედამიწის მოყვანილობა—10 კ.

ერისთავი დ. ხოლერა და მისი ასაცდენი დარიგებანი. 10 კ.

იოსელიანი გ. ლოღიკა. 15 კ.

ივანოვი ალ. ცა და დედამიწა. 20 კ.

ლენტის მსგავსი ჭიები 5 კ.

კომბი. ბავშვების მოვლა 40 კ.

მირიანაშვილი ალ. ჭაური და მისი მნიშვნელობა. 15 კ.

მოწამვის ჭიგიენა 3 კ.

მასსე. ლუკმა პურის ამბავი 60 კ.

რუბაკინი. ამბავი ცხოველთა სამეფოსი, სურათებით. 50 კ.

როსკო. პროფესორი. ქიმია 40 კ.

როგორ საზრდობს მცენარე, გადმოკეთებული. 25 კ.

სპერანსკი. ცუდი სენი, ანუ ათაშანგი. 5 კ.

ხუსკივაძე თ. შვილების აღზრდა, პედაგოგიური წერილები. 20 კ.

—

დარეჯანაშვილი არ. საბოსტნე მცენარეების მოყვანა. 20 კ.

ჯორჯაძე ლ. მევენახეობა და ღვინის დაყენება. 60 კ.

სახელმძღვანელო წიგნები:

ალნიაშვილი ვლ. «ბან», ხალხური ლექსები. 10 კ.

— «გან», წვრილი ამბები. 10 კ.

— «დონ», წვრილი ამბები. 10 კ.

— «ვინ», პაწაწა მინერალოგია 15 კ.

— «ზენ», პაწაწა ბოტანიკა. 20

— «თან», პაწაწა ზოოლოგია. 20 კ.

გოგებაშვილი ი. დედა-ენა უდ. 40 კ.

— ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, უდით. 80 კ.

— ხომლი, ლექსთა კრება 30 კ.

— Русское слово ნაწ. 1 უდ. 40 კ.

— Русское слово ნაწ. II უდ. 50 კ.

გაბიჩვაძე ვ. დედანი. 20 კ.

მდივანოვი ს. თვით მასწავლებელი ქართულისა და რუსულის ენისა. 50 კ.

ნასიძე. Учебникъ грузинскаго языка для русскихъ. 50 კ.

ქუთათელაძე არ. წყარო 40 კ.

ჯაჯანაშვილი რ. მეგობარი 35 კ.

საყმაწვილო წიგნები:

ავენარიუსი. ბანჯგლიანი ფუტკრის ამბავი. 15 კ.

ასათიანი თ. საყმაწვილო ამბები. 10 კ.

ანდერსენი. ზღაპრები 1 წიგნი. 10 კ.

— გედები. 10 კ.

ბარნოვი. საკვირველი ხე 3 კ.

გაბაშვილი ეკ. საყმაწვილო მოთხრობები. 30 კ.

გოგებაშვილი ი. ხატის მიზეზი. 5 კ.

თუამანიშვილი ან. ხატური, მოთხრობა სურათებით. 10 კ.

ტატიშვილი გრ. ხუმარა სპილოები, სურათებით. 10 კ.

აკაკი. საყმაწვილო ამბები. 40 კ.

ცისკ. თარგ. 5 კ.

ჩხუბი ერთი კვერცხისათვის. 3 კ.

—

სვანური ზღაპრები. 30 კ.

კრიტიკა, ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფია:

თ. ი. ჭავჭავაძე და მისი მოღვაწეობა. 20 კ.

მკითხველის შენიშვნები. ჩატეხილი ხიდი «ოთარანთ» ქვრივის ი. ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ. 15 კ.

ნაბოლარა ფ. «ივერია» და «მწყემსი».

საბერძნეთის ბრძენი დიოგენი 10 კ.

სტეფენსონი—რკინის გზის გამომგონელი. 5 კ.

სახსოვრად ქართულ თეატრის 50 წ. არსებობის დღესასწაულისა. 20 კ.

ქართველი მკითხველი. საუცხოვო ნიმუშები ნ. ნიკოლაძის ლიტერატურული ნაწარმოებისა. 15 კ.

ჭიჭინაძე ზ. ქართული მწერლობა მე-XII საუკუნეში. 25 კ.

— ქართული მწერლობა მე-XIII-ე XVI საუკუნოებში. 25 კ.

— ქართული მწერლობა მე-XII საუკუნეში. 20 კ.

— შოთა რუსთაველი. 30 კ.

— პატრი ნიკოლა როგორც ექიმი და მისი დროის ქართველი კათოლიკენი საქართველოში. 20 კ.

— აკაკი წერეთელი. 15 კ.

— ილ. ჭავჭავაძე. 20 კ.

— გ. ორბელიანი. 20 კ.

— ტულუზაანთ დავითა და უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღ. 25 კ.

ყიფიანი ნ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება 50 კ.

პუბლიცისტიკა:

გოგებაშვილი ი. მირითადი უკუღმართობა. 20 კ.

ისარლოვი ლ. კათოლიკენი საქართველოში. 15 კ.

იზაშვილი პ. ქართველი კათოლიკენი. 10 კ.

კარლ-კაუტსკი. ჩვენი დროის ეროვნება. 10 კ.

მამაცაშვილი ქრ. დრო არის საქმეს შეუდგეთ. 20 კ.

ჩვენ ქალებს. ქ-ნ შტარის წერილები. 20 კ.

კაზმული სიტყვიერება:

აბაშიძე ვ. ტასიკო, დრამატიული ეტიუდი. 10 კ.

ბარათაშვილი ნ. ლექსები 40 კ.

ბურჟე პოლ. ცოდვა სიყვარულისა. 70 კ.

გაბაშვილი ეკატ. სურათები გლეხელ-კაცის ცხოვრებიდან 10 კ.

გუნია ვ. მარინე. ისტ. მოთხრობა გადმოკ. 30 კ.

გურიელი მამია. თხზულებანი (ლექსები და პოემები). 1 მ.

გელოვანი ქ. ლექსები. 15 კ.

გულისაშვილი ი. ორი პიესა. 50 კ.

გეტე. რეინეკე კუდა-მელა, სურათებით. 50 კ.

გვარამაძე მღ. ივ. წამება მიხეილ გობრონისა, ლექსად. 10 კ.

დილარიანი. 25 კ.

დუტუ მეგრელი. ცრემლები 25 კ.

დე-ამიჩი. დედა-შვილის თავ-გადასავალი 15 კ.

ეჟი. განთიადი. 1 მ.

ერვიე პოლ. ბრჭყალები, დრამა. 30 კ..

ერისთავი გ. თხზულებანი, სურათით 1 მ. 60 კ.

ევდოშვილი ი. ლექსები და პოემები. 25 კ.

ერკმან-შატრიანი. გლეხი კაცის ისტორია I ნაწ. 60 კ., II ნაწ. 60 კ., III და IV 1 მ. 20 კ. კარგ ქაღალდზე თითო ნაწ. 15 კ. ემატება.

ველისციხელი. ნ. საგულისხმიერო აზრები შილლერიდან. 5 კ.

— საგულისხმიერო აზრები გეფხის-ტყაოსნიდან. 10 კ.

იანქოშვილი მ. ციცინათელა. 25 კ.

ივანე ბატონიშვილი. კალმასობა. 1 მ.

იკოთელი ილ. სამნი ბრძენნი. 20 კ.

იოსელიანი გ. ვეფხის-ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყმაწვილებისათვის, სურათებით. 20 კ.

კარიჭაშვილი დ. სამი მსხვერპლი, მოთხრობა. 30 კ.

კეთილი მაღლი. 10 კ.

ლერმონტოვი მ. მწირი, პოემა 10 კ.

— ორშა, პოემა. 10 კ.

— დემონი. 10 კ.

მაჩხანელი დ. მშური სიტყვა. 25 კ.

ნინოშვილი ე. პარტახი. 20 კ.

ნადირაძე ილ. ზაქარია კეთილაძე. 10 კ.

ნიკიტინი ალ. კრებული მოთხრობებისა. 15 კ.

ორბელიანი ვ. ლექსები. 60 კ.

პატაპენკო ი. ნამდვილი სამსახური, მოთხრობა. 40 კ.

ქანა დარკი. მოთხრობა. 5 კ.

რამას განდევნა, პოემიდან «რამაანი», გერმანულიდან 40 კ.

რუბაკინი. ორი ეტიუდი, «ქალაქის მამიებელნი» და «პირის-პირ». 20 კ.

სოლომონ მსაჯული. კლდოვა ირაკლი მეორისა. 5 კ.

ტოლსტოი ლ. სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ სუფევს 5.

ფურცელაძე ან. ლექსები და პოემები. 40.

— მარაბდა, პოემა. 20 კ.

— წყალობა, პოემა. 20 კ.

— მაცი ხვიტია, რომანი. 40 კ.

— ავაზაკნი. 30 კ.

— სამი პოემა. 40 კ.

— შოთა და მისი ცოლი 10 კ.

ქართველ ქალთა ნათარგმნი მოთხრობები I წ. 40.

ქალები, თ. სახოკიასი. 20 კ.

ყაზბეგი იური. სამშობლოსათვის თავდადება. 5 კ.

შექსპირი. ოტელო. 50 კ.

— მაკბეტი. 40 კ.

— რიჩარდ მესამე. 40 კ.

— იულიოს კეისარი. 30 კ.

შილლერი. ვილჰემ ტელი. 15 კ.

ცახელი. ზარნაშო, პოემა. 15 კ.

— გურგენ რაინდი, პოემა 30 კ.

ცშოკე. ოქროს მოყვარულები. 15 კ.

აკაკი. სამ-გვარი სიყვარული. 30 კ.

— ანდრია პირველი წოდებული პოემა. 5 კ.

— თორნიკე ერისთავი პოემა. 1 მ.

წერეთელი გ. ღომ-კაცი პოემა. 60 კ.

წითლიძე ა. ძმა ძმის მტერი. 10 კ.

წულაძე ლ. ზანგის სამკვიდრო. 10 კ.

ჰონქაძე დ. სურამის ციხე 25 კ.

ჭიჭინაძე ზ. ჭონის შეგირდი. 7 კ.

ხონელი მ. ამირან-დარეჯანიანი. 1 მ.

ჯიაკომეტი. იუდითი, ტრაგედია 30 კ.

—

ქორიძე ფ. სახელმძღვანელო ნოტების და მისი კანონების შესწავლისათვის. 60 კ.

რატილი ი. ალილო, შიგნით კახეთის კილო ნოტებზე გადაღებული. 50 კ.

—

ეფიმერტე. ქართულად თარგ. 1 მ.

მირაქოვი. ნაპერწკალი, ნაწყვეტები და მოსწრებული სიტყვები. 20 კ.

დადიანი ნ. საამდროვო გამოცანები 15 კ.

ტარუაშვილი გოტიგური ანბანი 5 კ.

სურათები

თოიძე მ. ერისთავი რაფიელ. 20 კ.

— იგივე. კარგს ქაღალდზე 30 კ.

— ნინოშვილი ეგნატე. 15 კ.

— იგივე. კარგ. ქაღალდზე. 25 კ.

— რუსთაველი შოთა. 20 კ.

— ჭავჭავაძე ილია. 25 კ.

— მეფე ერეკლე. 20 კ.

— იგ. კარგ ქაღალდზე. 25 კ.

პროვინციაში მცხოვრებთ წიგნები ფას დადებით შეუძლიანთ გაიწერონ, მხოლოდ წიგნების ფასის 25% (პროცენტი) წინათვე უნდა გამოგზავნონ.

წიგნების დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

---

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Сентября 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.